

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმი

დადგენილება № 48

2016 წლის 21 ოქტომბერი

2016 წელს საქართველოს მეცნიერებათა
ეროვნული აკადემიის სტიპენდიატთა
არჩევნებში მონაწილე კანდიდატთა
შეფასების კრიტერიუმების დამტკიცების
შესახებ

პრეზიდიუმი ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სტიპენ-
დიატთა არჩევნებში მონაწილე კანდიდატთა შეფასების კრიტერიუმები
(დანართი).

საქართველოს მეცნიერებათა
ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი
აკადემიკოსი გ. კვესიტაძე

2016 წელს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სტიპენდიატთა არჩევნებში მონაწილე კანდიდატთა შეფასების კრიტერიუმები

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წესდების თანახმად (თავი III, პუნქტი 5), „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სტიპენდიატად შეიძლება აირჩეს დოქტორის აკადემიური ხარისხის ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის მქონე პირი, რომელიც საერთაშორისო დონეზე აღიარებული სამეცნიერო ნაშრომების ავტორია“. კონკურსში მონაწილე კანდიდატებს შორის საუკეთესოს გამოსავლენად პრეზიდენტს საჭიროდ მიაჩნია შეფასების როგორც ზოგადი, ისე სპეციფიკური კრიტერიუმების ჩამოყალიბება. ზოგადი კრიტერიუმები გამოიყენება ყველა კონკურსანტის, ხოლო სპეციფიკური (ზოგადთან ერთად) ცალკეულ კონკრეტულ სპეციალობებზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კანდიდატების შეფასების დროს.

ზოგადი კრიტერიუმებია:

1. მეცნიერებაში შეტანილი წვლილი (მეცნიერული სიახლეები, ახალი მიმართულების შექმნა, კვლევის შედეგების სანდოობა და გავლენა ამ და მომიჯნავე მიმართულების განვითარებაზე და სხვ.);
2. გამოქვეყნებული სამეცნიერო პუბლიკაციები (სტატიები, მონოგრაფიები, სახელმძღვანელოები);
3. ავტორთა ჯგუფის მიერ გამოქვეყნებულ სტატიებსა და მონოგრაფიებში სტიპენდიატობის კანდიდატთა წვლილი;
4. კვლევის შედეგების მოხსენიება ენციკლოპედიებსა და უმაღლესი სასწავლებლები-სათვის განკუთვნილ სახელმძღვანელოებში;
5. სამეცნიერო ფორუმებში მონაწილეობა (მ. შ., კონგრესები, საერთაშორისო კონფერენციები, სესიები, სიმპოზიუმები და ა. შ.);
6. სამეცნიერო პროექტებში მონაწილეობა;
7. წიგნების, სამეცნიერო ჟურნალების რედაქტორობა, რედაქოლეგიების წევრობა;
8. მოღვაწეობა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში;
9. მიღებული პრემიები და ჯილდოები.

